# წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## სხდომის ოქმი N10

ქ.წალენჯიხა 30 მაისი 2016 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 22 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, ავთანდილ გაბელია,დარეჯან დადიანი, მარინა კალანდია, ნონა კვარაცხელია, ივერ კვარაცხელია,ბესიკ ფარცვანია, კობა შანავა, ბორის კვარაცხელია , ბაჩუკ უბილავა, დავით ფიფია, ლევან შელია,დავით ჭიჭინაძე, კახაბერ ციმინტია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გ. გულორდავა, გამგებლის მოადგილე თენგიზ ფიფია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების , საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.
სხდომა დასრულდა: 14:00 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრმა ვლადიმერ გაბელიამ სხვადასხვაში მოითხოვა განცხადების გაკეთება. საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ.ნ თემურ ღვინჯილიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს წარმოდგენილი სახით.(განკარგულება N21).

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 22 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი.

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე;

მომხსენებელი: თემურ ღვინჯილია–მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: კორნელ კვარაცხელია სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების, განთავსების წესის და სანებართვო მოწმობის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია , საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

4.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების, საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცებიოს შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: თემურ მებონია

სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: თემურ მებონია
სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

6.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისთვის" თხოვების ფორმით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: თემურ მებონია
სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები) პიდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემაზე გამგებლისათვის ფანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: თემურ მებონია
სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

8. მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობების შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლებაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: თემურ მებონია
სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

9. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N67განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: თენგიზ ფიფია
გამგებლის მოადგილე.

10. სხვადასხვა.

**მოისმინეს: 2 „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კორნელ კვარაცხელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ,,ფეხბურთის ცენტრზე" დამატებით გამოყოფილი თანხა 500 ლარი არასაკმარისია ინვენტარის და ფორმების შესაძენად და თანხის გაზრდა მოითხოვა .

ცენტრის დირექტორმა ზურაბ მორგოშიამ განმარტა რომ ამ ეტაპზე ეს თანხა საკმარისია და შემდომი პრსპექტივისთვის თანხის გაზრდა რათქმაუნდა მისასალმებელია.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 – დავით ბელქანია, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია.)

მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N19 ) .

**მოისმინეს: 3 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების, განთავსების წესის და სანებართვო მოწმობის დამტკიცების შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.)
მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N20) .

**მოისმინეს 4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების, საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცებიოს შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსმა თემურ მეზონიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.)
მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N22) .

**მოისმინეს 5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსმა თემურ მეზონიამ.
აზრი გამოთქვეს:
საკრებულოს წევრმა ივერ კვარაცხელიამ განაცხადა, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნება თუ ეს ფართი კომისარიატს დარჩება და მოხდება აღნიშნული ფართის გარემონტება და ამით უკეთესი სამუშაო პირობები შეექმნება სამსახურს.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი 2- ივერ კვარაცხელია, ავთანდილ გაბელია.) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N23) .

**მოისმინეს: 6 . წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისთვის" თხოვების ფორმით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.**
საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსმა თემურ მეზონიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.)
მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N24)

**მოისმინეს 7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები) პიდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.**
საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსმა თემურ მეზონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ. სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.)

მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N25)

**მოისმინეს: 8. მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობების შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლებაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსმა თემურ მეზონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ. სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.)

მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N26)

**მოისმინეს: 9. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N67განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ თენგიზ ფიფიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ. სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.)

მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N27)

**მოისმინეს: 10 სხვადასხვა**

საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ საკრებულოს გააცნო საკრებულოს წევრის ლევან შელიას განცხადება, „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს" ფრაქციაში შესვლის თაობაზე. აღნიშნული ინფორმაცია მიღებულიქნა ცნობად.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

30 მაისი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N21

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 24–ე მუხლის, მეორე ნაწილის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად,

I. დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 30 მაისს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: კორნელ კვარაცხელია
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების, განთავსების წესის და სანებართვო მოწმობის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია , საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

3.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების, საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცებიოს შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თემურ მებონია
სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თემურ მებონია
სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

5.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისთვის" თხოვების ფორმით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თემურ მებონია
სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

6. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები) პიდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თემურ მებონია
სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

7. მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობების შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლებაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თემურ მებონია
სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

8. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N67განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თენგიზ ფიფია
გამგებლის მოადგილე.

9.სხვადასხვა.

II. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.

III. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**დადგენილება №19**

2016 წლის 30 მაისი

ქ. წალენჯიხა

**„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი" მე-80 მუხლის საფუძველზე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.**

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის №47 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24/12/2015, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.104.016259) შეტანილიქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) გაიზარდოს ბიუჯეტის შემოსულობების „ქონების გადასახადის" მუხლი 161.0 ათასი ლარით;

ბ) შემცირდეს ბიუჯეტის გადასახდელების:

ბ.ა) „წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია"–ს მუხლი (კოდი 03 02 05) – 35.8 ათასი ლარით;

ბ.ბ) „საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა, ფასადების შეღებვა და ტერიტორიების კეთილმოწყობა"–ს მუხლი (პროგრ. კოდი 03 02 01) – 1.4 ათასი ლარით;

ბ.გ) ბიუჯეტის „გზების და ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია, მათი მოვლა შენახვის" მუხლის (კოდი 03 01) „არაფინანსური აქტივების ზრდის" ქვემუხლი 93.0 ათასი ლარით;

ბ.დ) ბიუჯეტის „ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსების" მუხლი (კოდი 05 03). 12,5 ათასი ლარით;

ბ.ე) „მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა და ახალშობილთა დახმარება"–ს მუხლი (კოდი 06 03 05) – 15.0 ათასი ლარით;

ბ.ვ) ფეხბურთის განვითარების ცენტრის მუხლი (პროგრ. კოდი 05 01 02) – 23.8 ათასი ლარით.

გ) გაიზარდოს ბიუჯეტის გადასახდელების:

გ.ა) ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაფინანსების" მუხლი (კოდი 05 03) 30.0 ათასი ლარით;

გ.ბ) ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სასპორტო ცენტრის დაფინანსების" მუხლი (კოდი 05 01 01). 10.0 ათასი ლარით;

გ.გ) „მუნიციპალიტეტის გამგეობის" (კოდი 01 02) „პროცენტის" ქვემუხლი 41.0 ათასი ლარით;

გ.დ) „საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება"–ს მუხლი (კოდი 06 01) – 10.0 ათასი ლარით;

გ.ე) „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილოები)“–ის მუხლი (კოდი 06 03 04) – 25.0 ათასი ლარით;

გ.ვ) „სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთჯერადი და პროგრამული დახმარებები“–ს მუხლი (კოდი 06 03 03) – 35.0 ათასი ლარით;

გ.ზ) „ფეხბურთის განვითარების ცენტრი“–ს მუხლი (კოდი 05 01 02) – 0.5 ათასი ლარით;

გ.თ) ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური (კოდი 03 02 03) – 80.0 ათასი ლარით;

გ.ი) „სკოლამდელი განათლების დაფინანსება“–ს მუხლი (კოდი 04 01) – 35.0 ათასი ლარით.

გ.კ) „საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა, ფასადების შეღებვა და ტერიტორიების კეთილმოწყობა“–ს მუხლი (პროგრ. კოდი 03 02 01) – 15.0 ათასი ლარით;

გ.ლ) ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი სქური“-ს მუხლი (პროგრამული კოდი 05 01 03) – 23.8 ათასი ლარით.

**მუხლი 2.**

ამ დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით, დადგენილების დანართი (წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

**მუხლი 3.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

დანართი

# წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი

## თავი I
## წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

### მუხლი 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 9,424.3 | 10,275.2 | 3,938.5 | 6,336.7 | 9 876,7 | 3 234,4 | 6 642,3 |
| გადასახადები | 1,502.7 | 1,300.0 | 0.0 | 1,300.0 | 2 011,0 | 0,0 | 2 011,0 |
| გრანტები | 7,536.6 | 8,585.2 | 3,938.5 | 4,646.7 | 7 635,7 | 3 234,4 | 4 401,3 |
| სხვა შემოსავლები | 385.0 | 390.0 | 0.0 | 390.0 | 230,0 | 0,0 | 230,0 |
| | | | | | | | |
| ხარჯები | 6,032.0 | 8,093.1 | 1,834.4 | 6,258.7 | 6 754,7 | 178,8 | 6 575,9 |
| შრომის ანაზღაურება | 1,646.7 | 1,442.0 | 0.0 | 1,442.0 | 1 722,0 | 72,0 | 1 650,0 |
| საქონელი და მომსახურება | 886.5 | 854.2 | 146.1 | 708.1 | 780,9 | 6,0 | 774,9 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| პროცენტი | 6.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 158,0 | 0,0 | 158,0 |
| სუბსიდიები | 2,373.9 | 2,956.0 | 0.0 | 2,956.0 | 3 264,0 | 100,0 | 3 164,0 |
| გრანტები | 0.0 | 310.6 | 0.0 | 310.6 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 762.2 | 692.0 | 0.0 | 692.0 | 745,0 | 0,0 | 745,0 |
| სხვა ხარჯები | 356.7 | 1,838.3 | 1,688.3 | 150.0 | 84,8 | 0,8 | 84,0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
| საოპერაციო სალდო | 3,392.3 | 2,182.1 | 2,104.1 | 78.0 | 3 122,0 | 3 055,6 | 66,4 |
| | | | | | | | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 3,010.6 | 3,423.2 | 3,345.2 | 78.0 | 3 201,2 | 3 133,2 | 68,0 |
| ზრდა | 3,065.6 | 3,510.2 | 3,345.2 | 165.0 | 3 290,2 | 3 133,2 | 157,0 |
| კლება | 55.0 | 87.0 | 0.0 | 87.0 | 89,0 | 0,0 | 89,0 |
| | | | | | | | |
| მთლიანი სალდო | 381.7 | -1,241.1 | -1,241.1 | 0.0 | -79,2 | -77,6 | -1,6 |
| | | | | | | | |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 381.7 | -1,241.1 | -1,241.1 | 0.0 | -79,2 | -77,6 | -1,6 |
| ზრდა | 381.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 381.7 | 0.0 | | 0.0 | 0,0 | | |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სესხები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 0.0 | 1,241.1 | 1,241.1 | 0.0 | 79,2 | 77,6 | 1,6 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.0 | 1,241.1 | 1,241.1 | 0.0 | 79,2 | 77,6 | 1,6 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სესხები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | | | | | | |
| ვალდებულებების ცვლილება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | | | | | | |
| ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

## მუხლი 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება შემდეგი რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 9 777,7 | 10 362,2 | 3 938,5 | 6 423,7 | 9 965,7 | 3 234,4 | 6 731,3 |
| შემოსავლები | 9 725,2 | **10 275,2** | **3 938,5** | **6 336,7** | 9 876,7 | 3 234,4 | 6 642,3 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 52,5 | 87,0 | 0,0 | 87,0 | 89,0 | 0,0 | 89,0 |
| ფინანსური აქტივების კლება | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | | | | | | |
| გადასახდელები | 9 097,6 | 11 603,3 | 5 179,6 | 6 423,7 | 10 044,9 | 3 312,0 | 6 732,9 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხარჯები | 6 032,0 | 8 093,1 | 1 834,4 | 6 258,7 | 6 754,7 | 178,8 | 6 575,9 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 3 065,6 | 3 510,2 | 3 345,2 | 165,0 | 3 290,2 | 3 133,2 | 157,0 |
| ნაშთის ცვლილება | 680,1 | **-1 241,1** | **-1 241,1** | **0,0** | **-79,2** | **-77,6** | **-1,6** |

## მუხლი 3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **9 876,7** ათასი ლარის ოდენობით

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 9 725,2 | **10 275,2** | **3 938,5** | **6 336,7** | **9 876,7** | **3 234,4** | **6 642,3** |
| გადასახადები | 1 424,5 | **1 300,0** | 0,0 | **1 300,0** | **2 011,0** | **0,0** | **2 011,0** |
| გრანტები | 7 899,7 | **8 585,2** | **3 938,5** | **4 646,7** | **7 635,7** | **3 234,4** | **4 401,3** |
| სხვა შემოსავლები | 401,0 | **390,0** | **0,0** | **390,0** | **230,0** | **0,0** | **230,0** |

## მუხლი 4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები **1850.0** ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | კოდი | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გადასახადები | 11 | 1,502.7 | 1,300.0 | 0.0 | 1,300.0 | 2 011,0 | 0,0 | 2 011,0 |
| საშემოსავლო გადასახადი | | | | | | 700,0 | | 700,0 |
| ქონების გადასახადი | 113 | 1,502.7 | 1,300.0 | 0.0 | 1,300.0 | 1 311,0 | 0,0 | 1 311,0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113111 | 1,352.7 | 1,200.0 | | 1,200.0 | 1 121,0 | 0.0 | 1 121,0 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113112 | 0.0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113113 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 1131131 | 0.0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე | 1131132 | 0.0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე | 1131133 | 0.0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| საქართველოში რეგისტრირებულ იახტებზე (კატარლებზე) | 1131134 | 0.0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| საქართველოში რეგისტრირებულ თვითმფრინავებზე | 1131135 | 0.0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| საქართველოში რეგისტრირებულ შეულმფრენებზე | 1131136 | 0.0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113114 | 50.0 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 50,0 | 0,0 | 50,0 |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131141 | 0.0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| იურიდიულ პირებიდან | 1131142 | 50.0 | 50.0 | | 50.0 | 50,0 | | 50,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113115 | 100.0 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 140,0 | 0,0 | 140,0 |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131151 | 0.0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| იურიდიულ პირებიდან | 1131152 | 100.0 | 50.0 | | 50.0 | 140,0 | | 140,0 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 1136 | 0.0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| სხვა გადასახადები | 116 | 0.0 | 0.0 | | | 0,0 | | |

## მუხლი 5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გრანტები

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7 635,7ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | კოდი | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გრანტები | 13 | 7,536.6 | 8,585.2 | 3,938.5 | 4,646.7 | 7 635,7 | 3 234,4 | 4 401,3 |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები | 131 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 133 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 133 | 7,536.6 | 8,585.2 | 3,938.5 | 4,646.7 | 7 635,7 | 3 234,4 | 4 401.3 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 1311 | 3,709.9 | 4,646.7 | 0.0 | 4,646.7 | 7 635,7 | 3 234,4 | 4 401,3 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | | 3,531.9 | 4,468.7 | 0.0 | 4,468.7 | 4,401.3 | 0.0 | 4,401.3 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | | 178.0 | 178.0 | 0.0 | 178.0 | 178.0 | 178.0 | 0.0 |
| ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 1312 | 3,826.7 | 3,938.5 | 3,938.5 | 0.0 | 3 056,4 | 3 056,4 | 0.0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | | 2,834.8 | 3,043.1 | 3,043.1 | 0.0 | 2 352,2 | 2 352,2 | 0.0 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | | 882.5 | 895.4 | 895.4 | 0.0 | 704,2 | 704,2 | 0.0 |
| პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი | | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| მთავრობის სარეზერვო ფონდი | | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი | | 109.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

## მუხლი 6. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები **230.0** ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| სხვა შემოსავლები | 401,0 | 390,0 | 0,0 | 390,0 | 230,0 | 0,0 | 230,0 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 160,8 | 200,0 | 0,0 | 200,0 | 110,0 | 0,0 | 110,0 |
| პროცენტები | 43,7 | 0.0 | | 0.0 | 10,0 | | 10,0 |
| დივიდენდები | 0,0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| რენტა | 117,1 | 200,0 | 0,0 | 200,0 | 100,0 | 0,0 | 100,0 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 116,6 | 200,0 | | 200,0 | 80,0 | | 80,0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 0,5 | 2.0 | | 2.0 | 20,0 | | 20,0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | 0.0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **70,1** | **70,0** | **0,0** | **70,0** | **20,0** | **0,0** | **20,0** |
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | **22,4** | **20,0** | **0,0** | **20,0** | **20,0** | **0,0** | **20,0** |
| საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი | 0,0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| სანებართვო მოსაკრებელი | 3,2 | 0.0 | | 0.0 | 0,0 | | |
| სახელმწიფო ბაჟი | 0,0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 0,0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0,0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 0,0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი | 0,0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის | 0,0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 19,1 | 20,0 | | 20,0 | 20,0 | | 20,0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 0,0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** | **47,7** | **50,0** | **0,0** | **50,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** |
| შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან | 0,0 | 0.0 | | | 0,0 | | |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 47,7 | **50,0** | **0,0** | **50,0** | 0,0 | | |
| **ჯარიმები, სანქციები და საურავები** | **160,0** | **120,0** | | **120,0** | **100,0** | | **100,0** |
| **ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე** | **0,0** | **0.0** | | | **0,0** | | |
| **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** | **10,1** | **0.0** | | | **0,0** | | |

მუხლი 7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები **6 754,7** ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | **6 032,0** | **8 093,1** | **1 834,4** | **6 258,7** | 6 754,7 | 178,8 | 6 575,9 |
| შრომის ანაზღაურება | **1 655,0** | **1 442,0** | **0,0** | **1 442,0** | 1 722,0 | 72,0 | 1 650,0 |
| საქონელი და მომსახურება | **900,2** | **854,2** | **146,1** | **708,1** | 780,9 | 6,0 | 774,9 |
| პროცენტი | 6,0 | **0,0** | **0,0** | **0,0** | 158,0 | 0,0 | 158,0 |
| სუბსიდიები | 2 373,9 | **2 956,0** | **0,0** | **2 956,0** | 3 264,0 | 100,0 | 3 164,0 |
| გრანტები | 0,0 | **310,6** | **0,0** | **310,6** | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 762,2 | **692,0** | **0,0** | **692,0** | 745,0 | 0,0 | 745,0 |
| სხვა ხარჯები | 356,7 | **1 838,3** | **1 688,3** | **150,0** | 84,8 | 0,8 | 84,0 |

მუხლი 8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

1.განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **3 290,2** ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| პროგ. კოდი | დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |

| პროგ. კოდი | დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 274,7 | 775,7 | 715,7 | 60,0 | 847,5 | 807,5 | 40,0 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2 790,9 | 2 734,5 | 2 629,5 | 105,0 | 2 442,7 | 2 325,7 | 117,0 |
| 04 00 | განათლება | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 00 | კულტურა,რელიგია ახალგაზრდულიდა სპორტული ღონისძიებები | 0.0 | 00 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

2. განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება **89.0** ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| არაფინანსური აქტივების კლება | 52,5 | 87,0 | 0.0 | 87,0 | 89,0 | 0.0 | 89,0 |
| ძირითადი აქტივები | 13,7 | 37.0 | | 37.0 | 69,0 | | 69,0 |
| არაწარმოებული აქტივები | 38,8 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| მიწა | 38.8 | 50.0 | | 50.0 | 20 | | 20 |

მუხლი 9. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 2,224.0 | 2,821.9 | 861.8 | 1,960.1 | 3 238,4 | 807,5 | 2 430,9 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2,161.3 | 2,660.8 | 715.7 | 1,945.1 | 3 236,4 | 807,5 | 2 428,9 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2,161.3 | 2,624.8 | 715.7 | 1,909.1 | 3 210,1 | 807,5 | 2 402,6 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0.0 | 36.0 | 0.0 | 36.0 | 26,3 | 0,0 | 26,3 |
| 7013 | საერთო დანიშნულების მომსახურება | 62.7 | 161.1 | 146.1 | 15.0 | 2,0 | 0,0 | 2,0 |
| 70133 | საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება | 62.7 | 161.1 | 146.1 | 15.0 | 2,0 | 0,0 | 2,0 |
| 702 | თავდაცვა | 99.6 | 100.0 | 0.0 | 100.0 | 115,0 | 78,0 | 37,0 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 313.9 | 310.6 | 0.0 | 310.6 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 313.9 | 310.6 | 0.0 | 310.6 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 2,311.8 | 3,514.3 | 3,424.3 | 90.0 | 1 380,0 | 1 256,0 | 124,0 |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 884.5 | 900.4 | 895.4 | 5.0 | 688,0 | 676,0 | 12,0 |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | 884.5 | 900.4 | 895.4 | 5.0 | 688,0 | 676,0 | 12,0 |
| 7045 | ტრანსპორტი | 1,238.0 | 1,040.9 | 955.9 | 85.0 | 536,4 | 475,0 | 61,4 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 1,238.0 | 1,040.9 | 955.9 | 85.0 | 536,4 | 475,0 | 61,4 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 189.3 | 1,573.0 | 1,573.0 | 0.0 | 155,6 | 105,0 | 50,6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 705 | გარემოს დაცვა | 602.5 | 700.0 | 0.0 | 700.0 | 745,0 | 0,0 | 745,0 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 602.5 | 700.0 | 0.0 | 700.0 | 745,0 | 0,0 | 745,0 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 959.4 | 1,153.5 | 893.5 | 260.0 | 1 227,5 | 1 070,5 | 157,0 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 139.6 | 250.3 | 115.3 | 135.0 | 536,6 | 521,6 | 15,0 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 142.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 12,0 | 0,0 | 12,0 |
| 7063 | წყალმომარაგება | 558.4 | 778.2 | 778.2 | 0.0 | 548,9 | 548,9 | 0,0 |
| 7064 | გარე განათება | 118.7 | 125.0 | 0.0 | 125.0 | 130,0 | 0,0 | 130,0 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 85.9 | 270.0 | 0.0 | 270.0 | 260,0 | 100,0 | 160,0 |
| 7072 | ამბულატორიული მომსახურება | 5.9 | 170.0 | 0.0 | 170.0 | 150,0 | 0,0 | 150,0 |
| 70721 | ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება | 5.9 | 170.0 | 0.0 | 170.0 | 150,0 | 0,0 | 150,0 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 80.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 | 110,0 | 100,0 | 10,0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 885.1 | 1,126.0 | 0.0 | 1,126.0 | 1 248,0 | 0,0 | 1 248,0 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 440.8 | 605.0 | 0.0 | 605.0 | 642,7 | 0,0 | 642,7 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 406.7 | 496.0 | 0.0 | 496.0 | 575,0 | 0,0 | 575,0 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 37.6 | 25.0 | 0.0 | 25.0 | 30,3 | 0,0 | 30,3 |
| 709 | განათლება | 848.2 | 1,080.0 | 0.0 | 1,080.0 | 1 230,0 | 0,0 | 1 230,0 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 825.0 | 1,050.0 | 0.0 | 1,050.0 | 1 185,0 | 0,0 | 1 185,0 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 23.2 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 45,0 | 0,0 | 45,0 |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 23.2 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 45,0 | 0,0 | 45,0 |
| 710 | სოციალური დაცვა | 767.2 | 527.0 | 0.0 | 527.0 | 601,0 | 0,0 | 601,0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 605.8 | 380.0 | 0.0 | 380.0 | 410,0 | 0,0 | 410,0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 144.4 | 135.0 | 0.0 | 135.0 | 175,0 | 0,0 | 175,0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 17.0 | 12.0 | 0.0 | 12.0 | 16,0 | 0,0 | 16,0 |
| | სულ | 9,097.6 | 11,603.3 | 5,179.6 | 6,423.7 | 10 044,9 | 3 312,0 | 6 732,9 |

**მუხლი 10. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**
განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 0 ათასი ლარით;

**მუხლი 11. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**
განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0 ათასი ლარით.

**მუხლი 12. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**
განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0 ლარით;

**მუხლი 13. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი**
გაუთვალისწინებელი გადასახდელების მიზნით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 25.0 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**
1.დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 178.0 ათასი ლარი მიიმართოს:
ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 100.0 ათასი ლარი;
ბ) ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 78.0 ათასი ლარი;
2.საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

**მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**
მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი II

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

### მუხლი 16. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

**1.თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)**

**ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)**
საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**
აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:მუნიციპალური გზების და ხიდ-ბოგირების, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების, გარე განათების ქსელის, სკვერების, პარკების, გამწვანების ობიექტების, სანიაღვრე არხებისა და კოლექტორების რეაბილიტაცია, ჩატარდება ნაპირსამაგრი სამუშაოები, მოეწყობა სპორტული მოედნები, დაფინანსდება კეთილმოწყობის სამუშაოები.

**ა) გზების და ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია, მათი მოვლა- შენახვა(პროგრამული კოდი 03 01)**
აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდებამუნიციპალური გზების და ხიდ-ბოგირებისშენახვა–რეაბილიტაციის სამუშაოები.

**ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)**
პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და განხორციელდება უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია.

**ბ.ა) საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა, ფასადების შეღებვა და ტერიტორიების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 01)**
ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მათ შორის ქ. წალენჯიხაში და ქ. ჯვარში არსებულისაცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაციის და მიდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოები.

**ბ.ბ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)**
ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების ქსელის მოწყობის, არსებული ქსელის რეაბილიტაციის, მოვლა-შენახვის და ექსპლოატაციის ხარჯები.

**ბ.გ) ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური (პროგრამული კოდი 03 02 03)**
ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქ. წალენჯიხს და მუნიციპალიტეტის თემების დასუფთავების, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაციის. ქალაქისსაცხოვრებელი კორპუსების ეზოებიდანსაყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის, ქუჩების, პარკების, სკვერების და სხვა ტერიტორიების ყოველდღიური დაგვა–დასუფთავების ღონისძიებები.

ზ.დ) ა(ა)იპ ქ. ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქ. ჯვარის დასუფთავების, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაციის. მუნიციპალიტეტისსაცხოვრებელი კორპუსების ეზოებიდანსაყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის, ქუჩების, პარკების, სკვერების და სხვა ტერიტორიების ყოველდღიური დაგვა–დასუფთავების ღონისძიებები.

გ) სასოფლო-სამეურნო მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოების დაფინანსება.

დ) სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია(პროგრამული კოდი 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი ჯებირების, ხიდბოგირების და გაბიონების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ე) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა(პროგრამული კოდი 03 05)

ვ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქების ქუჩებისა და ტროტუარების აღდგენა, სკვერების პარკებისა და გამწვანების ობიექტების მოვლა–შენახვა და რეაბილიტაცია, საგზაო ნიშნების და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქების და თემების გაფორმება და სხვა ღონისძიებები.

ვ.ა) ქ. წალენჯიხის ინფრასტუქტურის განვითარების ღონისძიებების დაფინანსება(პროგრამული კოდი 03 06 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქ. წალენჯიხის ტერენტი გრანელის სახელობის პარკის და სკვერების რეაბილიტაციას.

ზ) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება(პროგრამული კოდი 03 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია.

თ) რეგიონული განვითარების ფონდის სახსრებით განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება რეგიონული განვითარების ფონდის სახსრებით განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება.

3.განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ აღზრდას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვისსაჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

ა) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებული 32 საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები.ქვეპროგრამა მთლიანობაში ემსახურება1200-მდე ბავშვს.

ბ) საჯარო სკოლების დაფინანსება(პროგრამული კოდი 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებული საჯარო სკოლების მიმდინარე ხარჯების თანადაფინანსება.

4.კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების სრულად გამოვლინება.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი, წარმატებული სპორტსმენების წახალისება.

ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება 14 სპორტული წრე, მათ შორის ჭადრაკის, ჭიდაობის, კრივის, კალთბურთის და სხვა, სადაც გაერთიანებულია 260-მდე მოსწავლე.

ა.ბ) ფეხბურთის განვითარების ცენტრი (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრი"-ს დაფინანსება, რომელიც აერთიანებს ბავშვთა საფეხბურთო 5 ჯგუფს და 100-მდე სპორტსმენს. ქვეპროგრამის ძირითადი მიზანი არის ბავშვთა ფეხბურთის განვითარება და ნიჭიერი ფეხბურთელების აღზრდა.

ა.გ) ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „სქური"(პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ფინანსდება ეროვნულ ჩემპიონატში გათამაშებაში მონაწილე პირველი ლიგის გუნდი „სქური".

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება კულტურულიღონისძიებები, ასევე, სადღესასწაულო დღეებში ჩატარდება გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა) კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდიური წესით ფინანსდება ა(ა)იპ ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი", რომელიც ხელს უწყობს ქართული ფოლკლორის განვითარებას, თანამშრომლობს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან, ცალკეულ ხელოვანებთან, სხვადასხვა დარგის დამსახურებულ მოღვაწეებთან, ატარებს კულტურულ ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებში. აწყობს სახვითი დეკორატიული-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების გამოფენას. მომსახურებას უწევს ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნას, სახალხო დღესასწაულების აღსანიშნი ღონისძიებების ჩატარებას („გრანელობა", „ჯარალუა", „ტარასობა" და სხვა). კულტურის ცენტრი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების, მუზეუმების, კლუბების და კულტურის სახლების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 21 ბიბლიოთეკა, მათ შორის 1 საბავშვო, 1 ცენტრალური და 19 სათემო. წლის განმავლობაში ბიბლიოთეკები ემსახურება 17

ნუსხა, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად და ნებართვით განსაზღვრული ქმედების განხორციელებისას;

ი) ნებართვის მფლობელი – ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელმაც დადგენილი წესით მოიპოვა გარე რეკლამის განთავსების ნებართვა.

მუხლი 3.

1. სარეკლამო საშუალების განთავსება შეიძლება განხორციელდეს პლაკატების, სტენდების, შუქფირნიშების, ბილბორდებისა და სტაბილური განთავსების სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

2. სარეკლამო საშუალება (გარე რეკლამა) არ უნდა ჰგავდეს საგზაო ნიშნებსა და მაჩვენებლებს, მან არ უნდა გააუარესოს ამ ნიშნების, მაჩვენებლებისა და გზის ხილვადობა, საფრთხე არ უნდა შეუქმნას ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.

3. შენობა-ნაგებობებზე განთავსებული სარეკლამო საშუალება არ უნდა აუარესებდეს მათ არქიტექტურულ იერსახეს და უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი. ნებისმიერი ფორმით განთავსებული (გავრცელებული) სარეკლამო საშუალება არ უნდა ამახინჯებდეს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემავალ ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს.

4. სარეკლამო მასალაზე იმ საქონლის რეკლამირებისას, რომლის სერტიფიცირებაც აუცილებელია, უნდა გაკეთდეს აღნიშვნა ,,სერტიფიცირებულია“.

5. დაუშვებელია არასათანადო ან/და ისეთი შინაარსის გარე რეკლამის განთავსება, რომელიც აკრძალულია „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

ა. სარეკლამო საშუალებაზე (გარე რეკლამაზე) წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე. საქართველოს სახელმწიფო ენასთან ერთად, წარწერა შეიძლება შესრულდეს რომელიმე უცხო ენაზეც (ენებზეც). უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ფორმით) არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას. ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი.

მუხლი 4.

1. სარეკლამო საშუალებაზე 1 წლის განმავლობაში 6 თვეზე მეტი პერიოდის მანძილზე რეკლამის განუთავსებლობის შემთხვევაში ნებართვა გაუქმდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ.

2. სარეკლამო საშუალების მოვლა-პატრონობაზე და სათანადო იერსახით შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მფლობელს, მისი შეუსრულებლობა არის ნებართვის ვადამდე გაუქმების ერთ-ერთი საფუძველი.

3. სარეკლამო საშუალების მფლობელს უფლება აქვს სანებართვო პირობების შესაბამისად თავისი უფლებები და მოვალეობები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილობითი თანხმობით გადასცეს მესამე პირს. ამასთან აუცილებელია მესამე პირმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობას წარუდგინოს ოფიციალურად დამოწმებული წერილობითი წინადადება აუქციონში გამარჯვებული პირის ვალდებულებების სათანადოდ შესრულების თაობაზე. უფლებამოსილების გადაცემა არ განიხილება სანებართვო პირობების შეცვლის საფუძვლად.

4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარეკლამო საშუალებების განსათავსებელი უძრავი ობიექტების და სარეკლამო საშუალებების ნუსხა განისაზღვრება გარე რეკლამის გავრცელების გეგმით (სარეკლამო საშუალების განთავსების ადგილი, გაბარიტული ზომებისა და ფორმების მითითებით), რომელიც მტკიცდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამგეობის მიერ მომზადებული წინადადების საფუძველზე. გარე რეკლამის გავრცელების გეგმით განისაზღვრება ნუსხაში შეტანილი შესაბამისი უძრავი ობიექტებისა და სარეკლამო საშუალებების ზომა და ფორმა, ასევე აუცილებელი სხვა საკითხები მათი მიზანშეწონილობის გათვალისწინებით. აღნიშნულ გეგმაში შესაძლებელია პერიოდულად განხორციელდეს ცვლილებები მუნიციპალიტეტის პერსპექტიული განვითარების, სარეკლამო საშუალებების განთავსების პოტენციალისა და შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში.

5. გარე რეკლამის გავრცელების გეგმა შეთანხმებული უნდა იყოს:

ა) საავტომობილო გზების მმართველობის სათანადო ორგანოსთან და საგზაო პოლიციის ტერიტორიულ ქვედანაყოფთან – რეკლამის გავრცელების ტერიტორიის საავტომობილო გზების კუთვნილ ან მის მომიჯნავე ზოლში მდებარეობისას (დასახლებული პუნქტების საზღვრების გარეთ);

ბ) საგზაო პოლიციის ტერიტორიულ ქვედანაყოფთან – საქალაქო და სასოფლო დასახლებების ტერიტორიებზე;

გ) საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო–საწარმოო სამმართველოსთან ან მისდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებთან რეგიონებში – ბუნების, ისტორიისა და კულტურის დაცვით ზონებში, ნაკრძალებსა და ეროვნულ პარკებში.

**მუხლი 5.**

1. სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ობიექტებზე (უძრავი ობიექტების გამოყენებით) სარეკლამო საშუალებების განთავსების ნებართვის მოპოვება ხორციელდება აუქციონის წესით.

2. გარე რეკლამის განთავსებისათვის ნებართვის მოსაპოვებლად აუქციონის გამოცხადება ხდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით. გარე რეკლამის განთავსების ნებართვა გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით ,,რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და წინამდებარე წესის შესაბამისად.

3. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემისათვის დადგენილი ნორმებისა და წესების დაკმაყოფილების ვალდებულების აღება და ყველაზე მაღალი ფასის შეთავაზება.

4. გარე რეკლამის განთავსების ნებართის გაცემის თაობაზე აქუციონის ჩატარებისას, წინამდებარე წესის თავისებურებათა გათვალისწინებით, გამოიყენება ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით განსაზღვრული წესები.

5. გარე რეკლამის განთავების ნებართვას აუქციონში გამარჯვებულ პირზე დადგენილი წესით გასცემს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

6. ამ წესის შესაბამისად გაცემული გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საფუძველზე სარეკლამო საშუალების განთავსების საკითხები რეგულირდება მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

7. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელი აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში იხდის მხოლოდ ნებართვის გაცემის ფასს აუქციონის შედეგების მიხედვით.

**მუხლი 6.**

1.გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემის ობიექტი შეიძლება იყოს:

ა) გარე რეკლამის განსათავსებელი ერთი ტექნიკური საშუალება;

ბ) ერთ ლოტში შემავალი რამდენიმე ტექნიკური საშუალება;

გ) უფლება, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მთელ ტეროტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში ნებართვის მფლობელმა განათავსოს გაცემული გარე რეკლამის განსათავსებელი ტექნიკური საშუალება.

2. გარე რეკლამაზე მითითებული უნდა იყოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ რეკლამის გამავრცელებელზე გაცემული ნებართვის ნომერი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში გარე რეკლამის განსათავსებელი ტექნიკური საშუალებების განთავსების ადგილები განისაზღვრება წინამდებარე წესის მე–4 მუხლის შესაბამისად დამტკიცებული გარე რეკლამის განთავსების გეგმით.

4.ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გარე რეკლამის განსათავსებელი ტექნიკური საშუალებების განთავსების ადგილები და მის განთავსებასთან დაკავშირებული საკითხები როგორც წესი, განისაზღვრება წინამდებარე წესის მე–4 მუხლის შესაბამისად დამტკიცებული გარე რეკლამის განთავსების გეგმით, ხოლო მისი მთლიანად ან ნაწილობრივ არ არსებობის შემთხვევაში, გარე რეკლამის განთავსების გეგმით გაუთვალისწინებელ ნაწილში გარე რეკლამის განსათავსებელი ტექნიკური საშუალებების განთავსების ადგილები განისაზღვრება ნებართვის მფლობელის მიერ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან შეთანხმებით. აღნიშნულის შესაბამისად გარე რეკლამის განთავსების ადგილების განსაზღვრა შესაძლებელია განხორციელდეს ერთდროულად ან ეტაპობრივად.

5. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასი განისაზღვრება, გასაცემი სარეკლამო საშუალებების 1 კვ.მ.–ზე განსაზღვრული შესაბამისი ფასის გამრავლებით სარეკლამო საშუალებების საერთო ფართობთან კვადრატულ მეტრებში.

6. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასი გასაცემი სარეკლამო საშუალებების 1 კვ.მ.–ზე, ყოველ სანებართვო წელზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

7. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ფასს ნებართვის მფლობელი იხდის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის სახაზინო ანგარიშზე. გარე რეკლამის განთავსების ნებართის ფასის გადახდის საკითხები დეტალურად განისაზღვრება აუქციონის გამოცხადების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

8. ნებართვის გაცემის ფასის სრულად და დროულად გადახდაზე კონტროლის განხორციელება ეკისრება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და მშენებლობის და გამგეობის ზედამხედველობის სამსახურებს .

9. აუქციონში გამარჯვებულის მიერ ნებართვის გაცემის ფასის გადახდის დაგვიანებისათვის მას ეკისრება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,07%-ის ოდენობით. საურავის გადახდა წარმოებს ფასის გადახდისათვის დადგენილი წესით.

10. ნებართვის გაცემის ფასი არ მოიცავს სარეკლამო საშუალების დამზადება-განთავსების ხარჯებს და ეს უკანასკნელი მთლიანად ანაზღაურებული უნდა იქნეს სარეკლამო საშუალების განმათავსებლის მიერ.
ორმხრივი ფუნქციონალური დანიშნულების მქონე სარეკლამო საშუალების განთავსებისას ობიექტების სარგებლობის მინიმალური (საწყისი) ფასის ოდენობა განისაზღვრება საწყისი ფასის ორმაგი ოდენობით.

12. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს უფლება აქვთ აუქციონში გამარჯვებულს მოსთხოვონ სოციალური ხასიათის რეკლამის განთავსება. ასეთი მოთხოვნების მოცულობა წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს აუქციონში გამარჯვებულის სარგებლობაში არსებული სარეკლამო საშუალებების განთავსების პოტენციალის საერთო მოცულობის 7%-ს. ამ პუნქტით გათვლისწინებული საკითხები რეგულირდება ამ წესისა და სანებართვო პირობების შესაბამისად.

**მუხლი 7.**

გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 1 წლისა და არა უმეტეს 5 წლის ვადით. გარე რეკლამის განთავსების მოქმედების კონკრეტული ვადა განისაზღვრება ნებართვის გაცემის შესახებ აუქციონის გამოცხადების თაობაზე სამართლებრივი აქტით.

**მუხლი 8.**

1. ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სარეკლამო საშუალების განმათავსებელი პირი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სარეკლამო საშუალების დემონტაჟი, გატანა და უძრავი ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა.

2. ნებართვის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობა და სარეკლამო საშუალების განმათავსებელი პირი შესაძლებელია წერილობით შეთანხმდნენ შესაბამისი სარეკლამო საშუალების (საშუალებების) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. კონკრეტული შემთხვევა დარეგულირებული უნდა იქნეს ხელშეკრულებით.

**მუხლი 9.**

1.გარე რეკლამის განთავსების ადგილების განსაზღვრა ან/და ამ ადგილებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემა არ კრძალავს ამ ადგილების გამოყენებას კომუნალური ინფრასტრუქტურის (სანიაღვრე არხები, წყლისა და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა ხაზოვანი ნაგებობები) ობიექტების სამშენებლო (ახალიმშენებლობა, რეკონსტრუქცია–რეაბილიტაცია, დემონტაჟი) სამუშაოებისათვის. გარე რეკლამის ადგილების გამოყენებასთან დაკავშირებით ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს შესაბამის ნაწილში გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველს.

2.გარე რეკლამის განთავსების ადგილების განსაზღვრა ან/და ამ ადგილებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემა უფლებამოსილ ორგანოს არ უზღუდავს ან/და ...

თუ იმ ადგილისათვის (ადგილებისათვის) გარე რეკლამის განთავსების ადგილის სტატუსის გაუქმების შესახებ ან/და გამოიყენოს იგი რაიმე სხვა დანიშნულებით ან/და გაასხვისოს იგი. კონკრეტული ადგილისათვის (ადგილებისათვის) გარე რეკლამის განთავსების ადგილის სტატუსის გაუქმებასთან დაკავშირებით ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს შესაბამის ნაწილში გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველს.

3.ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვების შესახებ უნდა მიეთითოს გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის თაობაზე გამოცხადებულ სააუქციონო პირობებში და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმში.

## მუხლი 10.

1. სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახური საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების შესახებ, ასევე მასში შესაბამისი ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ნებართვის გამცემი, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
4. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მხრიდან ცალმხრივად გაუქმების საფუძველია:

ა) გაფრთხილების მიუხედავად დაწესებულ ვადაში სანებართვო პირობების შეუსრულებლობა, მათ შორის, გაფრთხილების მიუხედავად სანებართვო პირობების განმეორებით დარღვევა;
ბ) დაკისრებული პირგასამტეხლოს დაწესებულ ვადაში გადაუხდელობა;
გ) გაფრთხილების მიუხედავად წინამდებარე წესის მოთხოვნების დარღვევა;
დ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც ამა თუ იმ ადგილს (ადგილებს) მოეხსნა გარე რეკლამის განთავსების ადგილის სტატუსი;
ე) გარე რეკლამის განთავსების ადგილი საჭიროა კომუნალური ინფრასტრუქტურის (სანიაღვრე არხები, წყლისა და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა ხაზოვანი ნაგებობები) ობიექტების სამშენებლო (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქცია–რეაბილიტაცია, დემონტაჟი) სამუშაოებისათვის;
ვ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

5. ამ მუხლის მე–4 პუნქტის „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნებართვის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ ცალმხრივად გაუქმების დროს ნებართვის მფლობელს არ უბრუნდება უკვე გადახდილი ნებართვის ფასი და არ წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუნდაც აღნიშნული არ იყოს გათვალისწინებული შესაბამისი სანებართვო პირობებით.
6. ამ მუხლის მე–4 პუნქტის „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნებართვის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ ცალმხრივად გაუქმების დროს ნებართვის მფლობელს უფლება აქვს წაიღოს გარე რეკლამის განთავსების ადგილზე მის მიერ განთავსებული ნივთები.
7. ამ მუხლის მე–4 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ნებართვის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ ცალმხრივად გაუქმების დროს, ნებართვის მფლობელს უფლება არ აქვს წაიღოს გარე რეკლამის განთავსების ადგილზე მის მიერ განთავსებული ნივთები. ამასთან, მას არ უბრუნდება უკვე გადახდილი ნებართვის ფასი და არ აუნაზღაურდებ ა გარე რეკლამის განთავსების ადგილზე მის მიერ განთავსებული ნივთების ღირებულება, თუნდაც აღნიშნული არ იყოს გათვალისწინებული შესაბამისი სანებართვო პირობებით.

## მუხლი 11.

1. ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან/და სხვა უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების საკითხი საჭიროებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან სავალდებულო შეთანხმებას.
2. ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან/და სხვა უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსებით დაინტერესებულმა პირმა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახურს 2 ეგზემპლარად უნდა წარუდგინოს:
ა) პირადობის მოწმობის ასლი (იურიდიული პირის შემთხვევაში დირექტორის (ხელმძღვანელის) პირადობის მოწმობის ასლი;
ბ) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ან/და სხვა უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (საერთო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ასევე სხვა თანამესაკუთრეების მიერ დადგენილი წესით გაცემული თანხმობა);
გ) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ან/და სხვა უძრავი ქონების სიტუაციური გეგმა (A3 ფორმატზე, ფერადი) სათანადო დეტალიზაციითა და სამეზობლო საზღვრების ჩვენებით;
დ) იურიდიული პირის შემთხვევაში დამატებით იურიდიული პირის წესდების სათანადო წესით დამოწმებული ასლი და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
ე) გარე რეკლამის პროექტი (ესკიზი) A3 ფორმატზე, ფერადი.
3. ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე ან/და სხვა უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების საკითხზე გადაწყვეტილებას წერილის სახით ღებულობს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი. გარე რეკლამის განთავსების ან განთავსებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან 14 სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილების პროექტს ამზადებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახური. მიღებული გადაწყვეტილება (წერილის ასლი) ეგზავნება განმცხადებელს, რომელსაც დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში თან ერთვის განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის გამგეობის შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული 1 ეგზემპლარი.
4. ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი ვალდებულია,საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან/და სხვა უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების დროს დაიცვას წინამდებარე წესითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვები და მოთხოვნები.

მუხლი 12.
1. წინამდებარე წესის ძალაში შესვლამდე განხორციელებული ნებისმიერი ქმედება (გარე რეკლამის სანებართვო პირობების დარღვევა და გარე რეკლამის განთავსება შესაბამისი ნებართვის გარეშე და სხვა), რომელიც ვერ აკმაყოფილებს წინამდებარე წესის მოთხოვნებს, ითვლება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153⁴ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სამართალდამრღვევებს ამ დადგენილების ძალაში შესვლიდან განესაზღვროთ ვადა 2 თვის ოდენობით, რათა მათ მიერ, ამ წესის შესაბამისად მოპოვებული ქნეს გარე რეკლამის უფლება.
2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინამდებარე წესის ძალაში შესვლამდე განთავსებული გარე რეკლამა ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი მისი ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსება ჩაითვლება გარე რეკლამის სანებართვო პირობების დარღვევად ან/და გარე რეკლამის განთავსებად შესაბამისი ნებართვის გარეშე.

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 30 მაისი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N22

## მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე" პუნქტის „ე.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

1.დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა და პრივატიზების გეგმა დანართი N1 და N2-ის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა

**დანართი N1**

| NN | მესაკუთრე | უძრავი ქონების დასახელება | უძრავი ქონების მისამართი | მიწის ფართობი კვმ. | შენობა-ნაგებობის ფართობი კვმ | მიწის (უძრავი ქომების ს/კ.) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი | ყოფილი სასადილოს შენობა | ფახულანის ადმინისტრაციული ერთეული | 100,00 | 45,0 | 47.09.31.104 |
| 2 | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი | ყოფილი მაღაზიის შენობა | ქ. წალენჯიხა წერეთლის ქუჩა | 84,00 | 50,00 | 47.11.42.011 |
| 3 | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი | არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქ. წალენჯიხა კვარაცხელიას ქუჩა | 140,00 | | 47.11.38.011 |

# წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა

დანართი N2

| NN | საპრივატიზებო ობიექტების დასახელება | მდებარეობა | საწყისი საპრივატიზებო საფასური ლარი | ელექტრონული/საჯარო აუქციონის (უპირობო ან პირობებიანი) ფორმა | ელექტრონული/საჯარო/ აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ყოფილი სასადილოს შენობა | ფახულანის ადმინისტრაციული ერთეული | 4000,00 | უპირობო | 2016 წელის აგვისტო-სექტემბერი |
| 2 | ყოფილი მაღაზიის შენობა | ქ. წალენჯიხა წერეთლის ქუჩა | 1150,0 | უპირობო | 2016 წელის აგვისტო-სექტემბერი |
| 3 | 140 კვმ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქ. წალენჯიხა კვარაცხელიას ქუჩა | 2100,0 | უპირობო | 2016 წელის აგვისტო-სექტემბერი |

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 30 მაისი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N23

# წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის , საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე და 36-ე მუხლების შესაბამისად,

1.მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს გასცეს

ა) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში, იჯარის ფორმით, აღნაგობის უფლებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.წალენჯიხა წმ.ნინოს ქუჩაზე მდებარე სპორტის სასტუმროს შენობაზე დამაგრებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N47.11.44.004) 25 კვმ და ცენტრალურ სტადიონზე დამაგრებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N47.11.44.005) 20 კვმ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, 5 წლის ვადით , წლიური საიჯარო ქირა-400 ლარი.

ბ) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში, იჯარის ფორმით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 127 კვმ სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ( N47.15.35.041), 5 წლის ვადით , წლიური საიჯარო ქირა-300 ლარი.

გ) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში, იჯარის ფორმით,მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,ქ.წალენჯიხა სალიას ქუჩაზე მდებარე, კომისარიატის

შენობის პირველ სართულზე არსებული 25 კვმ არასაცხოვრებელი ფართი ( ს/კ N47.11.01.182) 3 წლის ვადით , წლიური საიჯარო ქირა-500 ლარი.

2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე;

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

30 მაისი 2016 წელი

ქ. წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N24

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ( ექსავატორ-მტვირთავი ATEK-99EF) ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისათვის“ თხოვების ფორმით გადაცემაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის და 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად,

1.მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს, გადასცეს სარგებლობაში თხოვების ფორმით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება ექსკევატორ-მტვირთავი ATEK-99EF, 2008 წელს გამოშვებული, ღირებულებით 70300 (სამოცდაათი ათას სამასი) ლარი ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის“ 1 (ერთი) წლის ვადით.

2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე;

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

30 მაისი 2016 წელი

ქ. წალენჯიხა

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულება N25

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის , საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ " საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის შესაბამისად, ამ ობიექტებზე არსებული ჩაის პლანტაციის გამოყვანის მიზნით,

1.მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს გასცეს სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული:

ა) ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 104023,0 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ N47.13.39.133;

ბ)ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 50158,0 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ N47.13.39.134;

2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე;

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 30 მაისი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N26

მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობების შესრულების ვალდებულებებისაგან განთავისუფლებაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" პუნქტის „დ.ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

1.მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებული ქონების (ს/კ N47.11.44.085) მიმღები სერიოჟა არონია გაათავისუფლოს „პირობებით აუქციონში" გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 28 ნოემბრის N5/1 ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე;

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 30 მაისი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N27

**„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N67 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად,

1.შეტანილ იქნეს ცვლილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N67 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში:

ა)“ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსების პროგრამა“-ის მუხლი „პროგრამის აღწერილობა“-ის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „პროგრამა გათვლილია 35 ბენეფიციარზე. ბენეფიციარის შერჩევა ხდება სარაიონთაშორისო ფსიქონარკოლოგიური დისპანსერის მონაცემების გათვალისწინებით. ბენეფიციართა სიაში გარკვეული ცვლილებების გასათვალისწინებლად პერიოდულად სია შეჯერდება აღნიშნულ დისპანსერთან“.

ბ) „მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარების“-ის მუხლი „პროგრამის აღწერილობა“-ის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი. იმ ოჯახებზე, რომლებსაც ჰყავთ 4 შვილი, თითოეულ არასრულწლოვან შვილზე ყოველთვიურად გაიცემა 30 ლარი, ხოლო იმ მრავალშვილიან ოჯახებზე, რომელთაც ჰყავს 5 ან მეტი შვილი, თითოეულ არასრულწლოვან შვილზე ყოველთვიურად გაიცემა 50 ლარი, ოჯახის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის (შვილების დაბადების მოწმობების, პირადობის მოწმობებისა და მშობელთა ქორწინების მოწმობის ასლები) წარმოდგენის შემდეგ. დახმარების დანიშვნაზე გადაწყვეტილებას ღებულობს სოციალური კომისია.

2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე;

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია